განკარგულება:**g-47. 47242114**
თარიღი:**29/07/2024**

განკარგულება N39

მიღების თარიღი: 26.07.2024წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 ივნისის N33 განკარგულებაში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სსიპ ჩაისუბნის საჯარო სკოლისათვის „ნოდარ დუმბაძის სახელობის ჯვარცხმის საჯარო სკოლის“ სახელის მინიჭების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის გაცემის თაობაზე“ ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61 -ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად

საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

ცვლილება შევიდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 ივნისის N33 განკარგულებაში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სსიპ ჩაისუბნის საჯარო სკოლისათვის „ნოდარ დუმბაძის სახელობის ჯვარცხმის საჯარო სკოლის“ სახელის მინიჭების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის გაცემის თაობაზე“

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის საჯარო სკოლისათვის „სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯვარცხმის საჯარო სკოლის“ სახელის მინიჭების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის გაცემის თაობაზე.

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: გაიცეს თანხმობა „სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის საჯარო სკოლისათვის „სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯვარცხმის საჯარო სკოლის“ სახელის მინიჭების შესახებ“.

მუხლი 2.

განკარგულების გასაჩივრება შეიძლება კანონით დადგენილი წესით 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე:

ჭავჭავაძის ქ. N4.

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი